ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №13

19 სექტემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი, სოფიო ჯაფარიძე და გიორგი შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე – გიორგი ჩაკვეტაძე;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ვლადიმერ ბოჟაძე;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – გივი ჩხარტიშვილი;
4. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი – ავთანდილ ცინცაძე.

მოწვეული სტუმრები:

1. გიორგი ტყემალაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ირაკლი გვილავა – ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. რამინა ბერაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი;
4. მანანა სამხარაძე – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ;
5. მადლენა მანუკიანი – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;
6. სოფიო ლაგვილავა – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის მდივანი;
7. ინგა ქლიბაძე – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
8. მარიამ გვასალია – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
9. თამილა გაბინაშვილი – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
10. დიანა ქართველიშვილი – სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი;
11. შორენა ლებანიძე – ჟურნალისტი, მწერალი;
12. გენრიეტა ძამუნაშვილი – ზურაბ ძამუნაშვილის დედა.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის – განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მანანა სამხარაძე

თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი,** რომელიც შეეხებოდა სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭებას. კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. სიმბოლურია, რომ კომისია დღეს მსჯელობს სკოლისთვის აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ლეიტენანტის, ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. დღევანდელი სხდომა ემოციურია, რადგან მას ესწრება გმირის დედა, ქალბატონი გენრიეტა ძამუნაშვილი, გმირის შვილები და კურსელები. სკოლისთვის გმირის სახელის მინიჭება მნიშვნელოვანი და საამაყო ფაქტია იმ თაობისთვისაც, ვისი აღზრდაც ჩვენი ვალდებულებაა. კახაბერ ლაბუჩიძემ სხდომაზე წარმოადგინა ბიოგრაფიული ცნობები ზურაბ ძამუნაშვილის შესახებ და განმარტა, რომ კომისიის სამდივნო, საკითხის შესწავლის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სკოლის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ზურაბ ძამუნაშვილის ოჯახის წევრებთან.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მანანა სამხარაძეს, რომლის განცხადებით, №220 საჯარო სკოლა აშენებულია იმავე ტერიტორიაზე, სადაც ყოფილი მესამე საჯარო სკოლა მდებარეობდა. ამავე სკოლის კურსდამთავრებული იყო ზურაბ ძამუნაშვილი, რომელიც დაიბადა 1967 წლის 20 იანვარს. 1984 წელს ზურაბ ძამუნაშვილმა ჩააბარა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით სასწავლებელში. ერთი წლის შემდეგ, შორეულ აღმოსავლეთში, გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა და 1991 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი ვეტერინარი ექიმის სპეციალობით. სტუდენტობის დროს აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, ეროვნულ მოძრაობაში. ზურაბ ძამუნაშვილი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მონაწილეც იყო. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აქტიურად ჩაერთო ბრძოლებში სოფ. ზემო კინდღთან, ტამიშთან, ლაბრასთან, სადაც თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მეომარმა. 1993 წლის 15-16 მარტს, აქტიური მონაწილეობა მიიღო მდინარე გუმისთასთან ბრძოლაში, სადაც ააფეთქეს მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა და საბრძოლო ჭურვებით დატვირთული ავტომანქანა. 1993 წლის 24 სექტემბერს, სოხუმში, რკინიგზის

სადგურთან, ტანკი აფეთქდა. დაჭრილები ამოიყვანეს, ზურაბ ძამუნაშვილი კი არავის უნახავს. მის კვალს მხოლოდ 25 წლის შემდეგ მიაკვლიეს და 2018 წლის აპრილში (22 იდენტიფიცირებულ თანამებრძოლებთან ერთად) გადმოასვენეს აფხაზეთიდან. ოჯახის გადაწყვეტილებით, მშობლიურ ქალაქში, თბილისში, წინაპრების გვერდით დაკრძალეს. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 09 სექტემბრის #497 ბრძანებულებით, ზურაბ ძამუნაშვილს მიენიჭა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: გიორგი ტყემალაძემ, რამინა ბერაძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ, შორენა ლებანიძემ და გენრიეტა ძამუნაშვილმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო სკოლის სახელდების პროცესში. თავმჯდომარის განცხადებით, ის თემა, რომლისთვისაც ჩვენ აქ ვართ შეკრებილნი, არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი ვალდებულებაა გმირების სახელები უკვდავყოთ, რომ გმირობის მაგალითი შემოვუნახოთ მომავალ თაობას. ჩვენთვის დიდი პატივია სკოლის სახელდების პროცესში, თანხმობის ნაწილში ვიყოთ ჩართულნი.

საქართველოს პარლამენტის წევრმა რამინა ბერაძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც წვლილი შეიტანა ამ საქმეში. 27 სექტემბერი თითოეული ქართველისთვის არის სევდიანი და ტკივილიანი, რადგან სწორედ ამ დღეს დაეცა სოხუმი. რამინა ბერაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა გენრიეტა ძამუნაშვილს, გმირის დედას, რომელიც მასწავლებლობდა სსიპ №220-ე საჯარო სკოლაში (ყოფილი მე-3 საჯარო სკოლაში). პარლამენტის წევრის განმარტებით, 2012 წლიდან მიმდინარეობდა სკოლის აღდგენითი სამუშაოები, დღეს კი სახეზე გვაქვს სკოლა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს.

კომისიის წევრის ზურაბ ჩიკვილაძის განცხადებით, ის თავადაც აფხაზეთის ომის მონაწილეა და კარგად აცნობიერებს, თუ რა დიდი ტკივილის გავლა მოუწიათ ოჯახებს 13 თვისა და 13 დღის მანძილზე. სამწუხაროა, რომ ზურასნაირი ადამიანები შეეწირნენ მამულიშვილურ საქმეს. მისი განცხადებით, დღეს კომისიას აქვს შესაძლებლობა ზურაბ ძამუნაშვილის სახელი უკვდავყოს. ამასთანავე გამოთქვა სურვილი, რომ სკოლას დაუბრუნდეს თავდაპირველი ნუმერაცია, რადგანაც ზურაბის სახელი ასოცირდება მე-3 საჯარო სკოლასთან.

მწერალმა და ჟურნალისტმა შორენა ლებანიძემ ისაუბრა ზურაბ ძამუნაშვილზე, როგორც მის რესპონდენტსა და წიგნის გმირზე. მისი განცხადებით, ზურაბ ძამუნაშვილი პიროვნული თვისებებითა და ხასიათით გამორჩეული პერსონა იყო. გმირის სახელის უკვდავსაყოფად ყველაზე მინიმუმი, რაც შეიძლება გაკეთდეს, ეს სკოლის სახელდებაა.

გენრიეტა ძამუნაშვილმა მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს მისი შვილის დაფასებისთვის, ასევე ოჯახის მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, **„სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების დადებითად შეფასების შესახებ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე	6
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „სსიპ ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლისთვის ზურაბ ძამუნაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიციირების საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ირაკლი გვილავას, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და მიმდინარე პროექტები. მისი განცხადებით, გასული ნახევარი წელი, კულტურის მიმართულებით, უმეტესად პოსტპანდემიურ პერიოდს და მისი შედეგების აღმოფხვრა-შემსუბუქებას ემსახურებოდა. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია თანამედროვე და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიის, ლიტერატურის, კედლის ხელოვნების, კინო და სხვა მიმართულების 35-მდე ფესტივალი, როგორიცაა: „შემოდგომის თბილისი“, ფოტოგრაფიული „ქოლგა“, „თბილისი ოფენ ეარ“ და სხვა.

ირაკლი გვილავას განცხადებით, „თბილისის ცის ქვეშ“ ეგიდით, კულტურის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გაიმართა სხვადასხვა ჟანრის კულტურული ღონისძიებები და კონცერტები ქალაქის სკვერებსა და პარკებში. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 130-მდე პროექტი. „ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაკონტრაქტებულია 9 პროექტი. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ოცდათერთმეტ სკოლაში, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში“ და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიაში“, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 660 მოსწავლე, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ხუთ სკოლაში დაფინანსდა არამოთხოვნადი სპეციალობების საშუალოდ 685 მოსწავლე.

ირაკლი გვილავას განმარტებით, პროგრამა „ისწავლე და დასაქმდის“ ფარგლებში დაფინანსდა პროფესიული კოლეჯების (იკაროსი, სპექტრი, მერმისი, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი) მიერ წარმოდგენილი პროექტები, – თბილისში

რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. 2022 წელს გამოცხადდა ელექტრონულ პლატფორმაზე რეგისტრაცია. პროგრამაში ჩართვით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, დარეგისტრირდა 1600-მდე მოქალაქე, შერჩევა გაიარა და 43 პროფესიულ სპეციალობაზე ჩაირიცხა 700-ზე მეტი თბილისში რეგისტრირებული მოქალაქე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურული კუთხით განხორციელებულ სამუშაოებს, სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარეობს ოთხი სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით თოჯინების მუზეუმისთვის მოხდა სივრცის გამოყოფა თბილისის საკრებულოში. ირაკლი გვილავას განცხადებით, ა(ა)იპ ახალგაზრდობის და სოციალური მეწარმეობის მიმართულებით 10-მდე პროექტი იქნა დაფინანსებული. დაიწყო ახალი პროგრამა – „სპორტი უფროსი თაობის ფარგლებში“.

ირაკლი გვილავას განცხადებით, მნიშვნელოვანი სიახლეა სტუდენტთა დაფინანსების პროგრამებშიც. სოციალურად დაუცველი სტუდენტების 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა განიხილა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული 1400-მდე განცხადება. გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1294 სოციალურად დაუცველი სტუდენტის სწავლის საფასური. ამავე პროგრამის ფარგლებში, ასევე დაფინანსდა 16 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტი და 60 მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის სწავლის საფასური. რაც შეეხება წარჩინებული მაგისტრანტების წახალისების პროგრამას, საანგარიშო პერიოდში 564 წარჩინებულ მაგისტრზე გაიცა წახალისება 562.5 ლარის ოდენობით; სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, ფინანსური წახალისება 379 მაგისტრანტს ჩაერიცხა პირად ანგარიშებზე, ხოლო 185 მაგისტრანტს უნივერსიტეტების ანგარიშებზე სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა